საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/271 „ 6 „ ნოემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსის თანადაფინანსების თაობაზე

საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის უცხო ენების ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტთან - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG). ამ ეტაპისთვის დაგეგმილია ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი 6 თვის ხანგრძლივობით. PROLoG სრულად აფინანსებს აღნიშნულ კურსს თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთათვის. ამასთან, PROLoG-ის დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სამთავრობო სააგენტოს - „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეები სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისთვის უსასყიდლოდ ჩაატარებენ ლექციებს სასამართლოების ადგილმდებარეობისა და მოსამართლეებთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მოხალისეების მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი